

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

21.01.2020 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავით გოგოშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ტიტე დარეჯანიშვილი; ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - ალექსანდრე შათირიშვილი; სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ხვისტანი; ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გიგა მამუკელაშვილი; საკრებულოს წევრები: ლევან მრელაშვილი; ზურაბი ლილუაშვილი; აბრამ მახარიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს თავმჯდომარე - გიორგი ჩაბრაშვილი; საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს იურიდიულ კომისიაში აპარატის ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - სოფიო ოხანაშვილი; საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - მედეა ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ლევან დარიბაშვილი; მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი - დავით ქსოვრელიშვილი.

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

**დღის წესრიგი:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

**მოისმინეს:** 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს 2020 წლის 01 იანვრისთვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში. რომლითაც მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში, გარდამავალი პროექტების ვალდებულებების და 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება. რის საფუძველზეც მოხდება მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი (970,0 ათ. ლარი) და 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებებით გამოყოფილი თანხის 478,0 ათ. ლარის როგორც შემოსულობებში ასევე გადასახდელებში ასახვა. რის საფუძველზეც ბიუჯეტი განისაზღვრა 37480,47 ათ. ლარის ოდენობით.








კომისიის წევრების მოთხოვნის მიხედვით, საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსმა - დ. ქსოვრელიშვილმა

**გადაწყვიტეს:** კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე

დ. გოგოშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
2020 წლის 21 იანვრის სხდომაზე დასწრების  
რეგისტრაცია

1. დავით გოგოშვილი 
2. ტიტე დარეჯანიშვილი 
3. ლევან მრელაშვილი 
4. ზურაბ მუსაევი
5. ალექსანდრე შათირიშვილი 
6. ნანა ხვისტანი 
7. აბრამ მახარიაშვილი 
8. ზურაბ ნაცარაშვილი
9. ზურაბი ლილუაშვილი 
10. გიგა მამუკელაშვილი 